# შეთანხმება

**№ ჳ/350702/36[1]**

## 2011 წლის 10 ივნისის №ჳ/350702/36 ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ

ქ. თბილისი

„-12-“ „-ოქტომბერი-“ 2011 წ.

ერთის მხრივ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ს/კ №211333957 მინისტრის პირველი მოადგილის ირაკლი გიორგობიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ: შპს „ირაო არტ“ ს/კ №204536010 მისი დირექტორის შალვა ჩიტიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“).

შეთანხმების საგანს წარმოადგენს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და შპს „ირაო არტ“-ს შორის 2011 წლის 10 ივნისის №ჳ/350702/36 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად. წინამდებარე შეთანხმებით იცვლება მომსახურების ვადები, ქ. ქუთაისში - შპს “ო. ჩხობაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო რეგიონული კლინიკური ცენტრი“-ს შენობის სარემონტო, მიმდებარე ტერიტორიისა და გარე კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოების მე-3 ეტაპის დასრულებისათვის საჭირო ვადების შესაბამისად.

1. აღნიშნული შეთანხმებით იცვლება ხელშეკრულების მე-4 მუხლი, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მიმწოდებელი“ განახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს ეტაპობრივად, საიდანაც საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება 2011 წლის 15 ივლისამდე ხოლო საავტორო ზედამხედველობა 2011 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით.
2. ცვლილება ძალაშია წინადებარე შეთანხმების ხელისმოწერისთანავე.
3. შეთანხმება შედგენილია 3 ეგზემპლარად რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. შეთანხმების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.
4. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს 2011 წლის 10 ივნისის №ჳ/350702/36 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

„შემსყიდველი“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საიდენტიფიკაციო კოდი №211333957

ქ. თბილისი, 0119 წერეთლის გამზ. №144

სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი № TRESGE22
ა/ა №200122900

ირაკლი გიორგობიანი
მინისტრის პირველი მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს „ირაო არტ“

საიდენტიფიკაციო კოდი №204536010

თბილისი, სანაპიროს №4

სს „ბანკი რესპუბლიკა“
ბანკის კოდი №REPLGE22
ანგ. №1028891515

შალვა ჩიტიშვილი
დირექტორი

ვიზა: გ. გოგოლაძე
ზ. [illegible]
შ. ბაღაშვილი
ი. ქიტიაშვილი
ი. უჯმაჯურიძე

შემსრულებელი: ა. მამალაძე